

სოციალური მხარდაჭერის გავლენა მარტოხელა დედების სტრესსა და
ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე

ელენე ყურაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ფილაური, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების დაცვით.

ელენე ყურაშვილი

15.01.2024

მადლობა

მადლობას ვუხდით კვლევის ხელმძღვანელს, ქალბატონ ქეთევან ფილაურს, თვეების მანძილზე გაწეული აკადემიური და მორალური მხარდაჭერისთვის. ასევე, მადლობას ვუხდით ჩემ მეგობრებს, ია ლომინაშვილს და თამარ ბოლქვაძეს, მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისთვის მომზადებაში დახმარებისთვის.

სარჩევი

სარჩევი.....	v
ტერმინთა განმარტება	1
აბსტრაქტი	2
Abstract	3
კვლევის შესავალი.....	4
<i>კვლევის ამოცანები.....</i>	7
<i>კვლევის კითხვები.....</i>	7
<i>კვლევის ჰიპოთეზები.....</i>	8
ლიტერატურის მიმოხილვა.....	8
<i>სტრესი და ფსიქიკური ჯანმრთელობა.....</i>	8
<i>მარტოხელა დედების მოწყვლადობა სტრესის და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებისადმი - მიზეზები.....</i>	10
<i>სტრესულ მოვლენასთან ექსპოზიციის სიხშირე.....</i>	11
<i>სოციალური მხარდაჭერა.....</i>	12
<i>ეკონომიკური მდგომარეობა.....</i>	14
<i>დედების სტრესი, ფსიქიკური ჯანმრთელობა და მათი კავშირი შვილების ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ქცევაზე.....</i>	15
<i>მარტოხელა დედების სტრესი, შფოთვა და დეპრესია - რისკის და დამცავი ფაქტორები.....</i>	16
<i>განათლების დონე და მარტოხელა დედობა</i>	16
<i>გამკლავების სტრატეგიები</i>	17
<i>ფსიქოლოგიური თავისებურებები</i>	19
<i>საქართველოში მცხოვრები მარტოხელა დედები.....</i>	20
მეთოდოლოგია	22
<i>პროცედურა.....</i>	22
<i>მონაწილეები.....</i>	23
<i>ინსტრუმენტები.....</i>	23

<i>მონაცემთა დაცვა და ანონიმურობა</i>	25
<i>ეთიკური პრინციპები</i>	26
<i>მონაცემთა დამუშავება</i>	26
შედეგები	27
<i>მარტოხელა დედების დემოგრაფიული მონაცემების აღწერითი სტატისტიკური ანალიზი</i>	27
<i>არამარტოხელა დედების დემოგრაფიული მონაცემების აღწერითი სტატისტიკური ანალიზი</i>	28
<i>სოციალური მხარდაჭერის კითხვარით გამოვლენილი ტენდენციები მარტოხელა დედებში</i>	31
<i>მარტოხელა და არამარტოხელა დედობის სტატუსის მიხედვით სტრესის, დეპრესიის და შფოთვის სიმპტომატიკა:</i>	33
<i>მიღებული სოციალური მხარდაჭერის კავშირი მარტოხელა და არამარტოხელა დედების სტრესთან, შფოთვისასთან და დეპრესიასთან</i>	34
დისკუსია	35
დასკვნა.....	39
კვლევის შეზღუდვები	40
რეკომენდაციები	41
ბიბლიოგრაფია.....	43
დანართი	51
<i>დანართი 1: ინფორმირებული თანხმობის ფორმა</i>	51
<i>დანართი 2: სოციო-დემოგრაფიული მონაცემების კითხვარი</i>	52
<i>დანართი 3: აღქმული სტრესის სკალა (PSS-14)</i>	54
<i>დანართი 4: სოციალური მხარდაჭერის კითხვარი (SSQ), მოკლე ვერსია</i>	59
<i>დანართი 5: პაციენტის ჯანმრთელობის კითხვარი (PHQ-9)</i>	63
<i>დანართი 6: გენერალიზებული შფოთვის კითხვარი (GAD-7)</i>	66

ტერმინთა განმარტება

სტრესი - მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის განმარტებით, სტრესი არის ღელვის ან ფსიქიკური დაძაბულობის ისეთი მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია რთულ სიტუაციაში მოხვედრით.

მშობლობის სტრესი - სტრესი, რომელიც ჩნდება მაშინ, როდესაც მშობელი აღიქვამს, რომ მისთვის, როგორც მშობლისთვის წაყენებული მოთხოვნები აღემატება მის რესურსს.

მარტოხელა მშობელი - მარტოხელა მშობლად ითვლება მშობელი, რომელიც შვილს ან შვილებს ზრდის მარტო და სახლში არ ჰყავს სხვა ადამიანი, პარტნიორის სახით, რომელიც უწევს დახმარებას შვილების აღზრდაში. მარტოხელა მშობლის იურიდიული სტატუსის მოსაპოვებლად, ინდივიდი უნდა იყოს ქვრივი, განქორწინებული, დაშორებული ან ქორწინებაში არასდროს მყოფი.

სოციალური მხარდაჭერა - ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის განმარტებით, აღნიშნული ტერმინი გულისხმობს სხვა ადამიანების მიერ ინდივიდისთვის სტრესთან გამკლავებაში დასახმარებლად მიწოდებულ მატერიალურ, სოციალურ-ემოციურ და ინფორმაციულ რესურსს.

გამკლავების სტრატეგიები - ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის განმარტებით, ქმედება, ქმედებების სერია ან სტრესულ და უსიამოვნო სიტუაციებში მოხვედრისას ფიქრის პროცესი და ასეთ სიტუაციებში საკუთარი რეაქციების მოდიფიცირება. გამკლავების სტრატეგიები, ძირითადად, მოიცავს პრობლემებთან ცნობიერ და პირდაპირ მიდგომას, განსხვავებით დამცველობითი სტრატეგიებისგან, როგორებიცაა უარყოფა და რეპრესირება.

აბსტრაქტი

მარტოხელა მშობლები სოციალურად მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ. მათ ყოველდღიურად უწევთ მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებთან გამკლავება, რაც დაკავშირებულია გაზრდილ სტრესთან და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან. კვლევის მიზანია, საქართველოში მცხოვრები მარტოხელა დედების სტრესის დონის განსაზღვრა, შფოთვის და დეპრესიის სიმპტომატიკის იდენტიფიცირება და აღნიშნული კომპონენტების კავშირის დადგენა სოციალურ მხარდაჭერასთან. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა ჯვარედინ სექციური დიზაინით. კვლევის მონაწილე იყო 46 მარტოხელა და 34 არამარტოხელა დედა. კითხვარები შედგებოდა 5 სექციისგან: დემოგრაფიული მონაცემები, აღქმული სტრესის სკალა-14, სოციალური მხარდაჭერის კითხვარი, პაციენტის ჯანმრთელობის კითხვარი-9, გენერალიზებული შფოთვის კითხვარი-7. ცვლადებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და სანდო კავშირების დასადგენად გამოვიყენეთ ხი კვადრატის (χ^2) კრიტერიუმი და p კრიტერიუმი. კორელაციების დასადგენად გამოვიყენეთ პირსონის r კოეფიციენტი. აღმოჩნდა, რომ მარტოხელა დედების 76.10% განიცდის მწვავე სტრესს; 69.6%-ს აღენიშნება კლინიკურად მნიშვნელოვნად გამოხატული შფოთვა, ხოლო 80.4%-ში დეპრესიის სიმპტომატიკა კლინიკურად მნიშვნელოვნადაა გამოხატული. დადასტურდა, რომ მარტოხელა დედობა კავშირშია გაზრდილ სტრესთან, შფოთვისასთან და დეპრესიასთან. ასევე დადასტურდა, რომ სოციალურ მხარდაჭერას გავლენა აქვს დედების შფოთვის დონეზე. არ დადასტურდა სოციალური მხარდაჭერის კავშირი სტრესთან და დეპრესიასთან. ნაშრომი მიუთითებს დამატებითი კვლევების საჭიროებაზე, მარტოხელა დედების მხარდამჭერი ინტერვენციების უკეთ დასაგეგმად.

საძიებო სიტყვები: მარტოხელა დედობა, სტრესი, შფოთვა, დეპრესია, სოციალური მხარდაჭერა.

Abstract

Single mothers are socially vulnerable group. They have to face different major and minor social and economical challenges in their everyday life which is related to higher stress level, and risk of mental health problems. The purpose of the study was to measure stress, clinically significant level of anxiety and depression in single mothers who live in Georgia and identify if these variables are associated with the amount of social support they get. Quantitative study with cross sectional design was conducted. Participants were 46 single mothers and 34 not single mothers. Questionnaires used in the research: Percieved stress scale (PSS-14), Social Support Questionnaire, short version (SSQ), Patient Health Questionnaire, (PHQ-9), Generalized Anxiety Disorder Questionnaire (GAD-7). To identify statistically significant and reliable relations between variables chi square (χ^2) criteria and P value was tested. Pearson's r criteria was used to identify correlations bewteen variables. The results revealed that 76.10% of single mothers show severe stress level; 69.6% show clinically significant symptoms of anxiety and 80.4% of single mothers show clinically significant symptoms of depression. Study confirms that single mother's status is related to higher stress, clinically significant symptoms of anxiety and depression. Study also confirms the ralations between social support and anxiety in mothers. There was no significant relations confirmed between social support, stress and depression. The study suggests the necessity of further research in this area, in order to plan appropriate interventions supporting single mothers.

Key words: single mothers, stress, depression, anxiety, social support.